

თორნიკე ნემსწვარიძე

**საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის
იურიდიული ბუნება**

ზვიად კორძაძის გამომცემლობა
ცაგერი-თბილისი
2017

ნემსწვერიძე თ., საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის იურიდიული ბუნება, ცაგერი-თბილისი, 2017, გვ. 330.

სამეცნიერო რედაქტორი:

ნანა ჭილაძე

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საკონსტიტუციო სამართლის პროფესორი

© თორნიკე ნემსწვერიძე, 2017

© „ზვიად კორძაძის გამომცემლობა“, 2017

ISBN 978-9941-27-396-4

*წიგნი ეძღვნება იროდი ნემსწვერიძის,
დოდო სილაგაძის, რეზო სალინაძისა და
ლილი ჩაკვეტაძის ნათელ სსოვნას*

რედაქტორისაგან

კონსტიტუციის პრეამბულა, მისი რეალური დანიშნულებიდან გამომდინარე, ობიექტურად იმსახურებს გამორჩეულ ყურადღებას. მიუხედავად ამისა, იგი აქამდე მკვლევართა საკადრისი ინტერესის საგანი არ გამხდარა, მით უფრო საქართველოში. ამიტომ, ძირითადი კანონის პრეამბულის ბუნების შესწავლის ფაქტიც კი მისასალმებელია. მისი ფენომენის კვლევა თორნიკე ნემსწვერიძემ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს დაიწყო, რომელიც შესრულებული იყო თემაზე - „პრეამბულის აქსიოლოგიური და ფუნქციური როლი საქართველოს კონსტიტუციის ტექსტუალურ ქსოვილში“. მან დაცვის პროცესში უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. უდავოა, რომ წინამდებარე მონოგრაფია, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის გადამუშავებულ და განვრცობილ ვერსიას წარმოადგენს, უდიდესი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონეა.

სიამაყით და მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ წარმოდგენილი მონოგრაფიული ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია კონსტიტუციონალიზმის თეორიული და პრაქტიკული ასპექტებით დაინტერესებული მკითხველისთვის. იგი იკვლევს პრეამბულის მრავალფეროვან ბუნებას - აქსიოლოგიურ, დეკლარაციულ, ჰერმენევტიკულ, ნორმატიულ ეფექტებს, მრავალფეროვან სამართლებრივ და პოლიტიკურ მხარეებს. ასევე, მნიშვნელოვანია, ქართული კონსტიტუციის პრეამბულის დატვირთვა და მიმართება დანარჩენ ტექსტთან და, ზოგადად, კანონმდებლობასთან. ავტორი თამამია შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბებაში, რამდენადაც საკუთარ შეხედულებებს აფუძნებს პრეამბულის ფენომენთან დაკავშირებული თეორიების, თანამედროვე თუ ისტორიული კონსტიტუციების პრეამბულათა ტექსტების, მათი კომენტარების, სასამართლო პრაქტიკის და მონოგრაფიული მასალის ანალიზს.

ნაშრომის ერთ-ერთი ღირსება ავტორისეული ენაა ერთ-გვარი ხატოვანი ელფერით, რაც კითხვის პროცესს საინტერესოს ხდის. ასევე, ხაზგასასმელი და დასაფასებელია თორნიკე ნემსწვერიძის მიერ განეული კოლოსალური შრომა მრავალფეროვანი ლიტერატურის მოძიების და ანალიზის პროცესში, რაც ერთმნიშვნელოვნად ემჩნევა წარმოდგენილ მონოგრაფიას.

გულწრფელად მინდა მივულოცო ახალგაზრდა მკვლევარს, თორნიკე ნემსწვერიძეს კონსტიტუციონალიზმის მკვლევართა რიგებში ღირსეულად დამკვიდრებისთვის სერიოზული განაცხადი და ვუსურვო არაერთი ღირებული ნაშრომის შექმნა, რაც ასე მნიშვნელოვანია ქართული იურიდიული მეცნიერების განვითარებისთვის.

ნანა ჭილაძე

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის საკონსტიტუციო სამართლის პროფესორი

2017 წლის სექტემბერი

ავტორისაბან

ძირითადი კანონის პრეამბულა საკონსტიტუციო კომპარატივისტიკაში ყოველთვის დიდ ყურადღებას იპყრობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვლევები ამ ინსტიტუტის მიმართ არც ისე მოცულობითია. ქართულ იურიდიულ დოქტრინაში დღემდე ფუნდამენტური კვლევა არავის მიუძღვნია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულისადმი (თუ არ ჩავთვლით ერთ სტატიას), არ შეუსწავლიათ მისი ფენომენი - ბუნება და ფუნქციური დანიშნულება. შესაბამისად, ამან განაპირობა, რომ საკვლევ თემად სწორედ ძირითადი კანონის პრეამბულის სამართლებრივი ბუნება ავიჩიე. მონოგრაფია ეფუძნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი თეზისის - „პრეამბულის აქსიოლოგიური და ფუნქციური როლი საქართველოს კონსტიტუციის ტექსტუალურ ქსოვილში“¹ - გადამუშავებულ ვერსიას. წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადე გამეანალიზებინა პრეამბულის ბუნებასთან დაკავშირებით განვითარებული ძირითადი თეორიები, საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა, ასევე, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის ანატომია და მისი პრაქტიკაში რეალიზების პერსპექტივები.

წინამდებარე ნაშრომი ვერ შეიქმნებოდა ჩემი კოლეგებისა და მეგობრების გვერდში დგომის გარეშე. უპირველესად, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო მონოგრაფიის რედაქტორს და ჩემ სამეცნიერო ხელმძღვანელს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ, სამართლის დოქტორ **ნანა ჭილაძეს** ნაშრომზე მუშაობის განმავლობაში მოცემული რჩე-

¹ თეზისი წარმატებით იქნა დაცული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით (შეფასება - 100 ქულა).

ვებისა და გვერდში დგომისათვის. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „კორძაძის საადვოკატო ბიუროს“ მმართველ პარტნიორს, ასოცირებულ პროფესორ ზვიად კორძაძეს წიგნის გამოსაცემად გაწეული დახმარებისათვის. სამეცნიერო ლიტერატურის მოპოვებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორ, სამართლის დოქტორ მარინა გარიშვილსა და ჩემ მეგობრებს, სამართლის მაგისტრ ძაბო დანელიასა და დოქტორანტ ნათია გველესიანს. აგრეთვე, უნდა აღვნიშნო სამართლის მაგისტრ თამარ ბენდელიანის, კორძაძის საადვოკატო ბიუროს ადვოკატის ნინო ბოგვერაძის, იურისტების - ქეთი ბენაშვილისა და ეთო რუხაძის წვლილი მონოგრაფიის გამოსაცემად მომზადებაში.

ვიმედოვნებ, რომ წარმოდგენილი წიგნი მცირე წვლილს შეიტანს ქართული კონსტიტუციონალიზმის განვითარებაში.

თორნიკე ნემსწვერიძე

სამართლის მაგისტრი (თსუ), კორძაძის
საადვოკატო ბიუროს იურისტი

2017 წლის სექტემბერი,
ცაგერი

შინაარსი

შესავალი15

I თავი. კონსტიტუციის პრეამბულა როგორც Principium In Cognitum.....22

1. პრეამბულის ფენომენი, მისი მნიშვნელობა და ისტორიული ნარატივი22

1.1. პრეამბულა - ეტიმოლოგია და ისტორიული წანამძღვრები22

1.2. პრეამბულის არსი და დანიშნულება.....25

2. ძირითადი კანონის პრეამბულის Curriculum Vitae28

2.1. აშშ-ის კონსტიტუცია - პრეამბულის პირველი ნორმატიული სამოსელი.....28

2.2. საბჭოური კონსტიტუციის პრეამბულა - იურიდიული პოსტულატების ანაქრონული ერთობა? 32

2.3. კონსტიტუციის პრეამბულის ფორმულირების ტენდენციები 36

ა) პრეამბულის დასათაურება კონსტიტუციებში.....36

ბ) სუვერენული ხელისუფლების მატარებელი სუბიექტის გამოხატვის ფორმები 37

გ) ხაზგასმა ისტორიულ ნარატივზე.....45

დ) საყოველთაო ფასეულობები, ძირითადი პრინციპები48

ე) მსოფლიო საზოგადოების ნაწილად თავის წარმოჩენა50

ვ) ახლანდელი და მომავალი თაობებისადმი პასუხისმგებლობა50

ზ) იდეოლოგიური თეორიები პრეამბულებში51

თ) პერსონალიზები კონსტიტუციის პრეამბულებში..... 52

ი) ხაზგასმა ღმერთზე 53

კ) ხაზგასმა საერთაშორისო აქტებზე.....56

ლ) ხაზგასმა გენდერზე57

| | |
|---|----|
| მ) კონსტიტუციის მიღება | 58 |
| 3. პრეამბულის იურიდიული ბუნება - გორდიასის კვანძი იურისპრუდენციაში | 59 |
| 3.1. პრეამბულის მისტერიის განმაპირობებელი ფაქტორები..... | 59 |
| 3.2. კონსტიტუციის პრეამბულის ბუნების ტრივიალური გაგება..... | 61 |
| 3.2.1. პრეამბულა როგორც არანორმატიული ჩანაწერი და მისი პოლიტიკურ-დეკლარაციული დანიშნულება | 62 |
| 3.2.2. პრეამბულა როგორც ნორმის განმარტების საშუალება ანუ რესურსის სუბსიდიური გამოყენება | 67 |
| 3.2.3. პრეამბულა, როგორც ნორმატიული კონცენტრატი.... | 92 |

| | |
|---|------------|
| II თავი. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის სიუჟეტური ქარგა და მისი დებულებების მზოგავი ძალა..... | 116 |
| 1. როგორი პრეამბულა შეიძლებაოდა პქონოდა 1921 წლის პირველ ქართულ კონსტიტუციას?..... | 118 |
| 2. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულის პორტრეტული სახე..... | 125 |
| 2.1. „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ...“ | 125 |
| 2.2. „დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება“ - დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპი | 138 |
| 2.2.1. დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელობა | 139 |
| 2.2.2. დემოკრატიული სახელმწიფო პრინციპის მოთხოვნები ხელისუფლების მიმართ | 141 |
| 2.3. ეკონომიკური თავისუფლება | 152 |
| 2.4. სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო..... | 155 |
| 2.4.1. სამართლებრივი სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპი | 155 |

| | |
|---|-----|
| 2.4.1.1. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის იდეა და არსი..... | 155 |
| 2.4.1.2. სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციური ეფექტები..... | 159 |
| 2.4.2. სოციალური სახელმწიფო როგორც მბოჭავი პრინციპი?..... | 164 |
| 2.4.2.1. სოციალური სახელმწიფო - სპეციფიკურობა, შემადგენლობა..... | 166 |
| 2.4.2.2. სახელმწიფოს მინიმალური კონსტიტუციური ვალდებულების სტანდარტი თუ პრინციპი ვალდებულების გარეშე?..... | 169 |
| 2.5. „...უზრუნველვეყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი...“ | 176 |
| 2.6. „...განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა...“ | 185 |
| 2.6.1. დამოუკიდებლობის განმტკიცება და მშვიდობიანი ურთიერთობა | 185 |
| 2.6.2. სახელმწიფოებრივ ტრადიციებზე მითითების მნიშვნელობა..... | 187 |
| 2.7. „...საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით...“..... | 191 |
| 2.7.1. ისტორიული ნარატივის ახსნა - მითითება პირველ ქართულ კონსტიტუციაზე და უარი საბჭოურ მემკვიდრეობას..... | 191 |
| 2.7.2. პირველი კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობა - მხოლოდ სიმბოლური თუ მბოჭავი პოსტულატი? | 194 |
| 2.8. „...ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“ | 202 |

| | |
|--|-----|
| 3. ძირითადი კანონის პრეამბულა, როგორც ნორმა და მისი განმარტებელი სუბიექტი | 212 |
| 4. პრეამბულაში კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების რეგლამენტაციის მიზანი და მათი მეშვეობით კანონმდებლის ბოჭვა..... | 218 |

III თავი. კონსტიტუციის პრეამბულა და ქართული კონსტიტუციური საგა - ცდა პრეამბულის ნორმატიული ბუნების დასაბუთებისა

| | |
|--|-----|
| 1. პრეამბულა - აუცილებელი თუ ფაკულტატიური ელემენტი?..... | 235 |
| 2. განხორციელებული ცვლილებები და სურვილი პრეამბულაში ცვლილებების შეტანისა | 242 |
| 3. კონსტიტუციის 39-ე მუხლის კავშირი პრეამბულასთან - კანონმდებლის მინიშნება პრეამბულის ბუნებაზე?..... | 251 |
| 4. საქართველოს სასამართლოების დამოკიდებულება კონსტიტუციის პრეამბულის დებულებების მიმართ | 256 |
| 4.1. საერთო სასამართლოების მიდგომა | 256 |
| 4.2. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც პრეამბულის დებულებების მომხმარებელი სამართალწარმოების პროცესში | 259 |
| 4.2.1. პრეამბულის დებულებები საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პროცესში | 259 |
| 4.2.2. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა და მისი ნორმატიული რესურსი კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებისას | 266 |
| 4.2.2.1. საკონსტიტუციო სასამართლოს თვალთ დასახული კონსტიტუციის ცვლილებების კონტროლის კონსტიტუციითვე შემოთავაზებული რესურსი | 267 |

| | |
|---|------------|
| 4.2.2.2. ორად გაყოფილი მოსაზრებები - შესაძლებელია თუ არა კონსტიტუციური კანონის საკონსტიტუციო კონტროლი?..... | 271 |
| 4.2.3. პრეამბულა, როგორც ფუნდამენტურ ღირებულებათა კონცენტრატი ქვეყნის ძირითადი კანონის დასაცავად | 276 |
| ძირითადი დასკვნები..... | 289 |
| ბიბლიოგრაფია | 298 |

„ზვიად კორძაძის გამომცემლობა“

ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის ქუჩა №44, ბლოკი A, პირველი
სადარბაზო, I სართული
ტელ.: 032-2-38-03-22

<https://www.facebook.com/ZviadKordzadzePublishing/>

info@zkpublishing.ge

zkpublishing.ge

legalpublishing.ge